

№ 10/42

1 ივლისი 2010 წ.

საქართველოს სტრატეგიული  
კვლევებისა და განვითარების ცენტრს

თქვენი წერილის №1-832 პასუხად, გაცნობებთ რომ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია "გრენა"-ს ქსელში ჩართულ ინტერნეტ მომხმარებლებს, შეუძლიათ შეამოწმონ ინტერნეტის სიჩქარე. ამისთვის, ისინი შედიან ასოციაცია "გრენა"-ს ვებ-გვერდზე (სადაც დეტალურად არის აღწერილი პროცედურა და მოხმარების წესები) და მომხმარებლის სახელის და პაროლის გამოყენებით მათ დროის ყოველ კონკრეტულ მონაკვეთში შეუძლიათ შეამოწმონ საკუთარი ინტერნეტ არხის დატვირთვა და დაყოვნება, ეს უკანასკნელი არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასებაში.

ზემოთ აღნიშნული სისტემა შედგება რამდენიმე მოდულისგან:

1. SNMP მოდული, გამოიყენება არხის ზოგადი დატვირთვის ანალიზისთვის. საჭირო მონაცემების მიღება ხდება მომხმარებელთან მაქსიმალურად "ახლოს" განთავსებული მოწყობილობიდან.

2. NETFLOW მოდული რომელიც თავის თავად რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. ამ მოდულის საშუალებით შესაძლებლობა გვაქვს მივიღოთ დეტალური სტატისტიკა გამოყენებული სერვისებისა და პროტოკოლების მიხედვით.

a. Jkflow სორტირების მოდული

b. Flowcapture მონაცემთა კოლექტორი

c. Flowsan დამხარიხებელი მოდული

d. Rrdtool მონაცემთა შენახვის მოდული

3. გრაფიკული ინტერფეისი, რომელიც რეალიზებულია CACTI-ზე.

აღსანიშნავია ისიც რომ ინტერნეტის სიჩქარის ხარისხი ხშირად დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, როგორიცაა:


1. სახაზო-საკაბელო წყვილის ხარისხი და გამტარუნარიანობა (DSL მომსახურების შემთხვევაში).

2. სერვერის რეალური წარმადობა იმ მომენტისთვის, როდესაც მომხმარებელი მას უკავშირდება.

3. ინტერნეტ პროვაიდერის ქსელური ინფრასტრუქტურა.

4. მომხმარებლის კომპიუტერის გამართულობა და წარმადობა.

აღმასრულებელი დირექტორი  
პროფესორი



რამაზ ქვათაძე